



მმართველობითი ანგარიშგება

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა წარმოგიდგენთ წინამდებარე მმართველობით ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლისთვის.

ზოგადი ინფორმაცია

ბიზნეს მიზანი და ძირითადი საქმიანობები

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო. თანხები მოცემულია ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის ნახსენები.

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

კომპანიამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებზე, ჰიდროელექტრო სადგურების კასკადი განავითარა. სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „მშენებლობა, ფლობა, ოპერირება“ (BOO ხელშეკრულება) ხელშეკრულების საფუძველზე. BOO ხელშეკრულებით კომპანიამ აიღო მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების ვალდებულება, შუახევეში მინიმუმ 178 მეგავატი და სხალთაზე 9 მეგავატი დადგენილი დადგენილი სიმძლავრით (ქვემოთ ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „პროექტი“). თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ კომპანიას გადასცა ჰიდროელექტროსადგურებისთვის მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების გამოყენების ექსკლუზიური უფლება. განახლებულ BOO ხელშეკრულებაში ცვლილება გაფორმდა 2019 წლის 13 დეკემბერს, რითაც კომპანიამ უფლება მიიღო 15 წლის განმავლობაში გაყიდოს საქართველოში წარმოებული ელექტროენერგია გარანტირებული სრული მოხმარებით და ფიქსირებული ფასით. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებას (PPA) შუახევისთვის შეცვლილი პირობებით მოეწერა ხელი 2020 წლის 12 მარტს და ამოქმედდა 2020 წლის 10 მარტს. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ქართულ ეკონომიკაზე; მაგალითად საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ფულად გზავნილებს შესაძლოა მნიშვნელოვნად შეეწყოს ხელი ქართული ლარის გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით 2022 წლის განმავლობაში. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე კვლავ გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

კომპანიის ბიზნეს მოდელის და მისი მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ უკრაინის ომს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 31,211 ლარით აღემატება. კომპანიამ აღრიცხა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება 22,500 ლარის ოდენობით და გამოიმუშავა 28,911 ლარის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (პროცენტის გადახდამდე). 2022 და 2023 წლებში კომპანიამ დროულად დაფარა მისი ვალდებულებები ძირითადი კრედიტორების მიმართ და ის აკმაყოფილებდა შესაბამის მოქმედ ფინანსურ ვალდებულებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლის განმავლობაში ხელსაყრელმა ჰიდროლოგიურმა პირობებმა, რასაც დაერთო თურქეთთან საექსპორტო გაყიდვების დაწყება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ტარიფებზე მნიშვნელოვნად მაღალ ფასად, კომპანიას საშუალება მისცა მის საბანკო ანგარიშზე 27,906 ლარი დაეგროვებინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12-თვის განმავლობაში ლიკვიდობასთან დაკავშირებული პროგნოზების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიას ექნება სათანადო ლიკვიდობა ამ პერიოდში ვადადამდგარი სესხის, ასევე მიმდინარე ბიზნესის საოპერაციო დანახარჯების დასაფარად, გამომუშავებაში ჰიდროლოგიური პირობების ცვლილებით პოტენციური ნეგატიური ცვლილებების, ასევე ბაზრის საპროცენტო განაკვეთების და კომპანიის მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე შესაბამისი ფინანსური დანახარჯების ზრდის გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია.

სამართლებრივი სტრუქტურა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს კომპანია „Adjaristsqali Netherlands B.V.“ (შემდგომში „ABV“).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ში „Tata Power International PTE Limited“ („ტატა ფაუერი“) – 50%-ს და „Clean Energy Invest AS“ („კლინ ენერჯი ინვესტი“, Norsk Mineral AS-ის შვილობილი საწარმო 96.7%-იანი ფლობით) – 50%-ს ერთობლივად ფლობდნენ და აკონტროლებდნენ (ერთად მოხსენიებულნი, როგორც „სპონსორები“).

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

კომპანია პროექტისთვის საკუთარ კაპიტალს მოიზიდავს „ტატა ფაუერისგან“ და „კლინ ენერჯი ინვესტისგან“, ხოლო ნასესხებ სახსრებს – პირველი რიგის კრედიტორებისგან – „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან“ (საერთაშორისო ფინანსური დაწესებულება), „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან“ და „აზიის განვითარების ბანკისგან“.

პერსონალი

კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო რომელთა სახელები რეგისტრირებულია კომპანიის ამონაწერში, რომლის მოძიება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში არის შესაძლებელი.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ აქვს დანერგილი სააღრიცხვო კონტროლის სისტემები. ბუღალტრული ჩანაწერები ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონულ სისტემაში ყოველდღიურად არის განახლებული. დანახარჯები და გადახდები დირექტორთა საბჭოს მიერ დადასტურებული უფლებამოსილების დელეგირებით იმართება. მოვალეობები გადანაწილებულია ყველა გარიგების შემქმნელს, შემმოწმებელსა და დამმოწმებელს შორის. სააღრიცხვო ჩანაწერები არის შენახული, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით მომზადებული წლიური და შუალედური ფინანსური ანგარიშგებები.

ბუღალტერი საბუღალტრო სისტემაში ჟურნალური გატარებების განხორციელებაზე არის პასუხისმგებელი. მთავარი ბუღალტერი ამოწმებს ჟურნალურ გატარებებს და ყოველი თვის ბოლოს ახორციელებს ანგარიშების ნაშთების შეჯერებას კონტრაპენტების ანგარიშებთან. ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტი ამზადებს ყოველთვიურ / ყოველკვარტალურ / ნახევარწლიურ და წლიურ საცდელ ბალანსებს ფინანსური დირექტორის მიმოხილვისთვის. ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია ფინანსური აღრიცხვის სპეციალისტის მიერ მომზადებული საცდელი ბალანსის და ფასს-ს შესაბამისად მომზადებული შუალედური / წლიური ფინანსური ანგარიშგების საერთო მიმოხილვაზე. შუალედური/წლიური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად აღმასრულებელი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ.

ფინანსური ინფორმაცია

აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბალანსის მოძრაობების შეჯამება და გაუფასურების შეფასება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ გახდა კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები ან მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ხომ არ ექვემდებარება გაუქმებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ გადახედა თავის შეფასებებს და დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების 545,617 ლარის საბალანსო ღირებულება განსაზღვრული იყო უფრო ნაკლები ოდენობით, ვიდრე მისი 547,635 ათასი ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც გამოთვლილია გაუფასურების ტესტის შედეგზე დაყრდნობით და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა შესაბამისი გაუფასურების გაუქმება 2,018 ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობოდა გამოყენების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა ძირითადი საშუალებების განგრძობითი ექსპლუატაციიდან წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

გამოყენების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 9.72%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (2021 წ. გადასახადის შემდგომი განაკვეთი 7.86%), დროთა განმავლობაში ცვლილებით, რაც დიდწილად უკავშირდება განაკვეთის ურისკო ზრდას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობამ ელექტროენერგიის სამომავლო წარმოების მოცულობა იმ დონეებზე განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება ნალექების ანალიზით მიღებულ გრძელვადიან საშუალო დონეს. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების მთელი ვადისთვის პროგნოზირებული ამონაგების ოდენობის გამოსათვლელად ხელმძღვანელობამ გამოიყენა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფები. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის შემდგომი პერიოდებისთვის ხელმძღვანელობამ დაუშვა ტარიფი, რომელიც უდრის ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფს, რომელსაც ყოველწლიურად ერიცხება 2%-იანი რთული პროცენტი, რაც შესაბამისობაშია აშშ დოლარის ინფლაციის გრძელვადიან პროგნოზებთან.

2022 წელს, თურქეთის ელექტროენერგიის ბაზარზე საექსპორტო გაყიდვების დაწყების შემდეგ, ხელმძღვანელობამ მომავალი საექსპორტო გაყიდვების პროგნოზები გამოიყენა ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნავარაუდევია, რომ საექსპორტო გაყიდვების მოცულობა „ესკოს“ გარდა სხვა პირებზე მიმდინარე პერიოდის გაყიდვების შესაბამისია, ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საექსპორტო პერიოდებით დადგენილი შეზღუდვების გამოყენებით, რომლებიც მოდელშია ასახული. საპროგნოზო გასაყიდი ფასები და გადაცემის დანახარჯები მომდევნო 5 წლის განმავლობაში თურქეთის ელექტრონული ბაზრის კვლევას ეფუძნება, რომელიც დამოუკიდებელმა ექსპერტმა მოამზადა და მოგვიანებით 2%-ით გაზარდა აშშ-ის ინფლაციის პროგნოზების შესაბამისად. საპროგნოზო გასაყიდი ფასები ეფუძნებოდა ‘Announced Pledges’ სცენარს (სცენარის „წმინდა ნული“ საწინააღმდეგოდ, რომელიც განისაზღვრა, როგორც გონივრულად სავარაუდო ალტერნატიული სცენარი), რაც მხოლოდ იმ მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებს მოიცავდა, რომლებიც გამოცხადდა და ამოქმედდა სამიზნე საექსპორტო გეოგრაფიულ ტერიტორიებზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა გააკონტროლებს ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს და მიიჩნევს, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს სცენარს „წმინდა ნული“, თუ სამიზნე გეოგრაფიული ტერიტორიის ბაზარზე გატარდება შესაბამისი მარეგულირებელი და პოლიტიკური ღონისძიებები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში სცენარის „წმინდა ნული“ გამოყენების შემთხვევაში, გამოყენების ღირებულება უფრო ნაკლები იქნებოდა, ხოლო მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეადგენდა 440 ლარს ელექტროენერგიის სავარაუდოდ უფრო მაღალი მიწოდების და შესაბამისად საპროგნოზო პერიოდში უფრო დაბალი ფასების გამო.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ დისკონტირების განაკვეთი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს გამოყენების ღირებულების შეფასებაზე. 1%-იანი ზრდა გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში ანაზღაურებად ღირებულებას დაახლოებით 41,882 ლარით შეამცირებდა (2021 წ.: 143,147 ლარი) და, შესაბამისად, იგივე ოდენობით გაზრდიდა გაუფასურებას.

კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება წილობრივი ინსტრუმენტებით და კომპანიის მფლობელებისგან მიღებული სესხებით, ასევე მის შვილობილ საწარმოზე გაცემული გარე სესხებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გარე სესხებმა 691,441 ლარი შეადგინა.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ განგრძობითი/საოპერაციო საქმიანობებიდან გამოიმუშავა 94,63 მილიონი ლარის ამონაგები.

ფინანსური მდგომარეობა

კომპანია მფლობელებისგან მიღებული შენატანებით საწესდებო კაპიტალში და ფინანსური ინსტიტუტებისგან - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) - მიღებული ნასესხები სახსრებით ფინანსდება.

კომპანიამ დაიწყო საოპერაციო ფულადი სახსრების გენერირება 2020 წლიდან ფუნქციონირების დაწყების და მფლობელებისგან დაფინანსების მირების გამო. კომპანია დაგეგმილი განვითარების სამუშაოების სავარაუდო ფინანსური საჭიროებებიდან გამომდინარე, ახორციელებს ფულადი ნაკადების გადინებების პროგნოზს.

ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ბალანსის თარიღისთვის კომპანიამ წარმოადგინა შემდეგი კოეფიციენტები:

	2022 წლის 1 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	-14,8%	-17,7%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	4.32	1.93

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი აქციონერთა კაპიტალის და ვალდებულებების მთლიან ოდენობაზე გაყოფით გამოითვლება. ლიკვიდობის კოეფიციენტი მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებზე გაყოფით გამოითვლება.

ფულადი ნაკადები და დაფინანსების მოთხოვნა

მფლობელებს, პირველი რიგის კრედიტორებსა და კომპანიას შორის 2014 წლის 30 მაისს გაფორმებული სპონსორების მხარდაჭერისა და წილების შენარჩუნების ხელშეკრულების მიხედვით, ხარჯების გადაჭარბების დასაფინანსებლად მფლობელებმა უკვე გამოყვეს 28 მილიონი აშშ დოლარი (10 მილიონი აშშ დოლარი 2017 წლის ივნის-ივლისში, 3 მილიონი აშშ დოლარი 2017 წლის ნოემბერში, 9 მილიონი აშშ დოლარი 2017 წლის დეკემბერში და 6 მილიონი აშშ დოლარი 2018 წლის იანვარ-თებერვალში), რაც პროექტმა აითვისა 2018 წლის მარტის ბოლომდე. 2018-2019 წლებში სპონსორებმა განახორციელეს დამატებით 36 მილიონი აშშ დოლარის ინექცირება კომპანიაში, 18 მილიონი აშშ დოლარი „CEI“-ის და „TPIPL“-ის მიერ, თითოეული დროებითი სესხის სახით (‘განახლებადი საკრედიტო ხაზი’ - ‘ზრიჯ-კრედიტი’) პროექტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მანამდე, სანამ კომპანია მიიღებს სადაზღვევო შემოსულობას.

რესტრუქტურისაციის პაკეტის ფარგლებში, მფლობელებისგან სესხის მომსახურების დანაკლისის გარანტიის მიღების თაობაზე, 30 მილიონი აშშ დოლარის პირველი ტრანშის და 15 მილიონი აშშ დოლარის მეორე ტრანშის ოდენობით, შეთანხმება იქნა მიღწეული. აქედან კომპანიამ დამატებით შეტანილი კაპიტალის სახით უკვე მიიღო 17 მილიონი აშშ დოლარი და 28 მილიონი აშშ დოლარი 2020 წელსა და 2019 წელს, შესაბამისად.

2020 წლის იანვარში გვირაბების შესაკეთებელი სამუშაოები დასრულდა და შუახვევის პროექტი 178 მვ ექსპლუატაციაში შევიდა 2020 წლის თებერვლიდან. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შეზღუდულია კომპანიის მიერ ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუნაწილებელი მოგების ოდენობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი 628,490 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერს: 650,990 ლარი). ამ პერიოდში ადგილი არ ჰქონია დივიდენდებს ან აქციონერულ სესხებს.

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობები

კომპანიამ, 2017 წლის სექტემბრიდან დანერგა რისკების მართვის სტრუქტურა, რომელიც პროექტთან დაკავშირებული რისკების უმეტესობის გამოსავლენად იქნა გამოყენებული. აღნიშნული რისკების ერთობლიობიდან, 10 ძირითადი რისკი განისაზღვრა როგორც რისკები რომლებიც უნდა იყოს მიმოხილული დირექტორთა საბჭოს ყველა კრებაზე. ამასთანავე, კომპანიამ დანერგა შესაბამისობის მართვის სისტემა, რომელიც აკონტროლებს მარეგულირებელ, სასესხო და სახელშეკრულებო ვალდებულებების უმეტესობას, რათა მოხდეს შეუსაბამობის პოტენციური რისკების აღმოფხვრა. შეუსაბამობის შემთხვევები და აღნიშნულის შემსუბუქების და აღმოფხვრის გეგმები აუდიტის კომიტეტის და დირექტორთა საბჭოს მიერ არის მიმოხილული.

სტრატეგიული

კომპანიის ერთადერთ ინვესტიციას აღნიშნული პროექტი წარმოადგენს. პროექტი იღებს შემოსავალს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიიღებს. 2022 წლის მაისიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და მისი ადგილობრივად გაყიდვა პირდაპირი გაყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ ეტაპზე, ძირითადი რისკი არის ჰიდროლოგიის საკითხი, რადგანაც ის უკავშირდება წარმოებულ რაოდენობას და გაყიდულ ელექტროენერგიას. 2021 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება ბიუჯეტთან შედარებით 104%-ს შეადგენდა (2021 წ.: 65%), სტატისტიკურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლები ნაღებების გამო და ეს პირდაპირ აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. შედეგად, კომპანიამ შეძლო გადახდის ვალდებულებების შესრულება პირველი რიგის კრედიტორების მიმართ. ამასთან, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა პირველი რიგის კრედიტორებთან ხელშეკრულებების ყველა არსებით ასპექტს.

საბაზრო

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ოპერაციებს საქართველოში ახორციელებს. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. 2022 წლის მაისში კომპანიამ პირველად განახორციელა ელექტროენერგიის ექსპორტი, რასაც გავლენა ჰქონდა უფრო მაღალ ამონაგებზე, ვიდრე ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული გაყიდვებიდან მიიღება. კომპანიის ექსპორტის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდება 2025 წელს. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

საოპერაციო

კომპანია საწყის საოპერაციო ეტაპზეა. 2020 წლის იანვარში, გვირაბების სარემონტო სამუშაოები დასრულდა და 2020 წლის მარტიდან ფუნქციონირებაც დაწყებულია. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება. შესაბამისად, საოპერაციო რისკები ამ ეტაპზე უმეტესად ჰიდროლოგიის საკითხებთანაა დაკავშირებული, როგორც აღწერილია ზევით. ზემოაღნიშნულ რისკთან ერთად, ის ასევე მიმწოდებლების რისკებით, IT რისკებით და ბიზნეს და სამუშაო პროცესებთან (სარემონტო სამუშაოებში ჩართული სფეროებით შეზღუდული) დაკავშირებული რისკებით გამოწვეულ საოპერაციო რისკებს ექვემდებარება. მხოლოდ სანდო და ცნობილ მხარეებთან თანამშრომლობის გზით, ძლიერი IT გარემოს შექმნისა და შენარჩუნების გზით და შიდა სამუშაო პროცესების მიმოხილვისა და განვითარების გზით, დირექტორებს მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნული რისკები მისაღებ დონემდე არის შემსუბუქებული.

ფინანსური

კომპანიის პოლიტიკა, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, ისეთი ფინანსური რისკების თავიდან აცილებას მოიცავს როგორებიცაა საკრედიტო ან ლიკვიდობის რისკები. კომპანია არ ფლობს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები შედგება მხოლოდ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისგან როგორებიც არის სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სხვა ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები. ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკებს (უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის რისკები, საპროცენტო განაკვეთის რისკები და ფასის რისკები) და/ან საკრედიტო რისკებს. კომპანია სავალუტო ბაზრებზე ცვლილებებს და ასევე, სასაქონლო ფასის და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს ექვემდებარება.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ მის დაფინანსებას აქციონერებისგან მიღებული შენატანების და საერთაშორისო კრედიტორებისგან (IFC, EBRD და ADB) მიღებული საგარეო სესხის საშუალებით იღებს. სესხების საბოლოო გატანა 2017 წლის 6 თებერვალს შესრულდა.

სავალუტო რისკი

კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან. კომპანიას მიაჩნია, რომ ქართული ლარი, როგორც წარსადგენი ვალუტა სჭარბობს ქართულ ანგარიშგებელ კომპანიებს შორის, ამიტომ ის უფრო შესაფერის და მართებულ ინფორმაციას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს.

კომპანიას აქვს სავალუტო რისკი შესყიდვებზე და საბანკო ნაშთებზე, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. ვალუტა, რომელშიც ოპერაციებია ძირითადად გამოხატული, არის ლარი.

კომპანია არ აფორმებს ხელშეკრულებებს წარმოებულ ინსტრუმენტებზე, თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით.

კანონები და რეგულაციები

კომპანია საქართველოში მოქმედი კანონებით და რეგულაციებით არის შეზღუდული. ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ის შესაბამისობაშია ყველა შესაბამის კანონთან და რეგულაციებთან. ხელმძღვანელობა ასევე ადასტურებს, რომ კომპანია შესაბამისობაშია შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი BOO ხელშეკრულების ყველა მოთხოვნასთან და შესაბამის იურიდიულ მოთხოვნებთან საქართველოში.

ბიზნეს სივრცე რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს ბუნებრივად არის დაქვემდებარებული რიგ იურიდიულ რისკებს, საგადასახადო რისკებს და საჯარო ორგანოებთან ანგარიშის წარდგენასთან ან სხვა საგარეო ანგარიშგებასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენი პოლიტიკაა რომ ჩვენი პერსონალის ცოდნასა და გამოცდილებაში განვახორციელოთ ინვესტიციები. ამასთანავე, ჩვენ მარეგულირებელი რისკების გამოსავლენად და შესამსუბუქებლად პროფესიონალი ექსპერტები გვყავს დაქირავებული (ანუ საგადასახადო, საშემფასებლო და იურიდიული მრჩეველები).

ფინანსური და არაფინანსური შესრულების მაჩვენებლები

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გაყიდვიდან. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განავითარა ჰიდროელექტრო სადგური, რომელმაც ფუნქციონირება 2020 წლის მარტიდან დაიწყო. 2020 წლის იანვარში, გვირაბების სარემონტო სამუშაოები დასრულდა და 2020 წლის მარტიდან ფუნქციონირებაც დაწყებულია. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ საოპერაციო საქმიანობებიდან გამოიმუშავა 94,621 ათასი ლარის ამონაგები.

გარემოსთან და პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან და გარემოსთან, და უზრუნველყოფს რომ ნებისმიერი ზარალი ან გარემოს დაზიანება შესაბამისად იყოს მოგვარებული ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ შესაბამისობაშია საქართველოს გარემოსდაცვით რეგულაციებთან, აგრეთვე სესხის გამცემების გარემოსდაცვით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებთან.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გრძელვადიანი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 39, აქედან 32 მამაკაცი და 7 ქალი.

შევიმუშავეთ კომპანიის შინაგანაწესი (Policy) რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და მიეწოდება ყველა თანამშრომელს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე.

აღნიშნული კოდექსი მოიცავს გაიდლაინებს, პროცედურებსა და უფლებებს რომლიც არსებობს იმისთვის რომ თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ინფორმაცია კომპანიაში არსებული პროცედურების შესახებ, თუ რა შემთხვევაში რა მოქმედებები და აქტივობები არის საჭირო და ასევე იმისთვის რომ ყოველდღიური საქმიანობა სწორად, გამჭვირვალედ და დაბრკოლებების გარეშე წარიმართოს.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“ დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, რელიგიის (რწმენის), სქესის, გენდერული იდენტობის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობების და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ მულტიკულტურული კომპანიაა და უზრუნველყოფს ყველა დასაქმებულისთვის ინკლუზიურ და კეთილგანწყობილ გარემოს.

ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ

კომპანიამ, 2019 წლის დეკემბერში ტექსტილის ქარხნისთვის საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ იქნა მიჩნეული არსებითად დამატებითი ახსნა-განმარტებებისთვის.

კვლევისა და განვითარების ინფორმაცია

წლის განმავლობაში არ ჩატარებულა კვლევისა და განვითარების ღონისძიებები (2021: არცერთი).

ინფორმაცია ბიზნესის ფუნქციონირების სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით

კომპანიამ, მის ყველა ძირითად პროექტის საქმიანობის სივრცეებთან ახლოს რამდენიმე საჯარო ინფორმაციის ოფისი (PIO) გახსნა. აღნიშნული ოფისები პროექტის საქმიანობებთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას ავრცელებენ, ასევე უზრუნველყოფენ ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას მათი შეთავაზებების, პრეტენზიებისა და წინადადებების საშუალებით. პროექტმა მიიღო და ასრულეს დაინტერესებულ მხარეთა გარიგების გეგმას და მრავალი სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტი მიღებულია საზოგადოების განვითარებისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მიმართულებით.

სხვა ინფორმაცია

უფლებამოსილების დელეგირება და საოპერაციო პროცესი

კომპანიას არ აქვს მარკეტინგთან, დისტრიბუციასთან და ინოვაციებთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობები.

კომპანია მისი მმართველი დირექტორების მიერ იმართება. ხარჯების დადასტურება და საბანკო გადახდების ავტორიზაცია დამტკიცებული დადგენილებების საშუალებით ხორციელდება. კომპანიის წესდება კორპორაციულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში მმართველ დოკუმენტს წარმოადგენს. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ მის საქმიანობას მმართველობითი გუნდის საშუალებით ახორციელებს: ბატონი რაკემ ნაიკი, გენერალური დირექტორი და ბატონი ანანდ ჰარიდას სოლანკი, ფინანსური დირექტორი.

ქცევის კოდექსის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანია „თანამშრომელთა სახელმძღვანელოს“ დოკუმენტს ემორჩილება, რომელიც კონკრეტულ, დაცულ ქცევის კოდექსთან დაკავშირებულ ინფორმაციას არეგულირებს.

შემაღწელობასთან დაკავშირებით დამატებითი დაკვირვებები რეგულარულ საფუძველზე ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში, დირექტორების ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით კორექტირებების დამუშავება ხდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

მომავალი განვითარებები

ინვესტიციები და დაფინანსება

2020 წლის მარტიდან შუახვევის ჰესი უკვე ფუნქციონირებს, ხოლო სხალთა ჰესმა მუშაობა 2021 წლის მარტიდან დაიწყო.


კვლევა და განვითარება

კომპანია არ გეგმავს რაიმე დამატებითი რესურსების გამოყოფას და რაიმე კვლევისა და განვითარების საქმიანობების წარმოებას მომავალში.

გარემოებები რომლებზეც ბრუნვის/მომგებიანობის განვითარება არის დამოკიდებული

კომპანია წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას და მის ძირითად საქმიანობებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. სტაბილური და შესაფერისი სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით ამ ქვეყნებში ელექტროენერგიის გასაყიდად, პროექტის ექსპლუატაციაში გაშვებასთან ახლოს, ელექტროენერგიის ბაზრების რყევების და საქართველოში მოქმედი რეგულაციების მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება.

მმართველობითი ანგარიში ხელმოწერილია 2023 წლის 13 აპრილს



ირაკე ნაიკი

გენერალური დირექტორი



ირაკლი ხაჩიკაშვილი

ფინანსური დირექტორი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	7-30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მფლობელსა და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

დირექტორთა საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

13 აპრილი, 2023 წ.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

		2022 წლის შენიშვნა 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ძირითად საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე			
გადახდილი ავანსი	9	547,635	638,488
არამატერიალური აქტივები		767	846
სხვა აქტივები		593	732
გრძელვადიანი აქტივები		548,995	640,066
მარაგები	14	4,724	5,029
გადახდილი ავანსი	13	3,168	2,443
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	3,742	3,428
საგადასახადო აქტივი, წმინდა		1,085	638
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	27,906	9,381
მოკლევადიანი აქტივები		40,625	20,919
სულ აქტივები		589,620	660,985
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	297,078	297,078
დამატებით შეტანილი კაპიტალი	11	206,328	206,328
დაგროვილი ზარალი	11	(628,490)	(650,990)
საკუთრო სხვაობის რეზერვი		22,472	5,908
სულ საკუთარი კაპიტალი		(102,612)	(141,676)
ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	12	682,775	791,147
სხვა ვალდებულებები		41	669
გრძელვადიანი ვალდებულებები		682,816	791,816
სესხები და ნასესხები სახსრები	12	8,666	8,838
სხვა ვალდებულებები		750	2,007
მოკლევადიანი ვალდებულებები		9,416	10,845
სულ ვალდებულებები		692,232	802,661
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		589,620	660,985

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები ოპერაციებიდან	4	94,621	48,673
საოპერაციო ხარჯები	6	(37,349)	(34,950)
სხვა შემოსავალი	5	559	57,149
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(8,201)	(8,446)
სხვა ხარჯები		(488)	(3,392)
საოპერაციო შედეგები		49,142	59,034
ფინანსური შემოსავალი	8	608	389
ფინანსური დანახარჯები	8	(29,268)	(31,626)
წმინდა ფინანსური დანახარჯები		(28,660)	(31,237)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების გაუქმება (ზარალი)	9	2,018	(56,801)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		22,500	(29,004)
მოგების გადასახადი		-	-
მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდგომი მოგება/(ზარალი)		22,500	(29,004)
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში			
შემოსულობა საკურსო სხვაობიდან		16,564	10,648
მთლიანი სხვა სრული შემოსავალი		16,564	10,648
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		39,064	(18,356)

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და მისი სახელით ხელი მოეწერა 2023 წლის 13 აპრილს:


რაკენ დავითაშვილი
გენერალური დირექტორი


ირაკლი ხაჩიძე
ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	საკუთრო სხვაობის რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	297,078	206,328	(621,986)	(4,740)	(123,320)
პერიოდის ზარალი	–	–	(29,004)	–	(29,004)
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	10,648	10,648
პერიოდის მთლიანი სრული ზარალი	–	–	(29,004)	10,648	(18,356)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	297,078	206,328	(650,990)	5,908	(141,676)
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	297,078	206,328	(650,990)	5,908	(141,676)
პერიოდის მოგება	–	–	22,500	–	22,500
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	16,564	16,564
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	22,500	16,564	39,064
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	297,078	206,328	(628,490)	22,472	(102,612)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		22,500	(29,004)
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	12,200	14,524
ძირითადი საშუალებების გაუფასურების (გაუქმება) ზარალი	9	(2,018)	56,801
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		225	–
ვალდებულების ჩამოწერა		–	(16,810)
წმინდა ფინანსური დანახარჯები		28,660	31,237
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი		126	28
		61,693	56,776
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
მარაგები		682	359
გადახდილი ავანსი		(877)	(122)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(1,589)	(1,912)
საგადასახადო აქტივი, წმინდა		(128)	(1,381)
სხვა აქტივები		63	8
სხვა ვალდებულებები		(4,225)	(2,247)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე		55,619	51,481
გადახდილი პროცენტი		(26,708)	(38,843)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		28,911	12,638
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი		608	135
ძირითადი საშუალებების შეძენა		(385)	(604)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(145)	–
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		139	75
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		217	(394)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
პირველი რიგის სესხის დაფარვა	12	(6,584)	(6,476)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა		(44)	(31)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(6,628)	(6,507)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		22,500	5,737
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		9,381	3,400
სავალუტო კურსის მოძრაობის გავლენა			
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(3,975)	244
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	10	27,906	9,381

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

1. კორპორაციული ინფორმაცია

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს კომპანია „Adjaristsqali Netherlands B.V.“ (შემდგომში „ABV“).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „Adjaristsqali Netherlands B.V.“-ში „Tata Power International PTE Limited“ („ტატა ფაუერი“) – 50%-ს და „Clean Energy Invest AS“ („ქლინ ენერჯი ინვესტი“, Norsk Mineral AS-ის შვილობილი საწარმო 96.7%-იანი ფლობით) – 50%-ს ერთობლივად ფლობდნენ და აკონტროლებდნენ (ერთად მოხსენიებულნი, როგორც „სპონსორები“).

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

კომპანია პროექტისთვის საკუთარ კაპიტალს მოიზიდავს „ტატა ფაუერისგან“ და „ქლინ ენერჯი ინვესტისგან“, ხოლო ნასესხებ სახსრებს – პირველი რიგის კრედიტორებისგან – „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან“ (საერთაშორისო ფინანსური დაწესებულება), „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან“ და „აზიის განვითარების ბანკისგან“.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე დაყრდნობით (იხ. მე-2 შენიშვნა).

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ქართულ ეკონომიკაზე; მაგალითად საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ფულად გზავნილებს შესაძლოა მნიშვნელოვნად შეეწყოს ხელი ქართული ლარის გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით 2022 წლის განმავლობაში. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე კვლავ გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

1. კორპორაციული ინფორმაცია (გაგრძელება)

ომი უკრაინაში (გაგრძელება)

კომპანიის ბიზნეს მოდელის და მისი მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ უკრაინის ომს არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 31,209 ლარით აღემატება. კომპანიამ აღრიცხა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება 22,500 ლარის ოდენობით და გამოიმუშავა 55,619 ლარის ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (პროცენტის გადახდამდე). 2022 და 2023 წლებში კომპანიამ დროულად დაფარა მისი ვალდებულებები ძირითადი კრედიტორების მიმართ და ის აკმაყოფილებდა შესაბამის მოქმედ ფინანსურ ვალდებულებებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლის განმავლობაში ხელსაყრელმა ჰიდროლოგიურმა პირობებმა, რასაც დაერთო თურქეთთან საექსპორტო გაყიდვების დაწყება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებში განსაზღვრულ ტარიფებზე მნიშვნელოვნად მაღალ ფასად, კომპანიას საშუალება მისცა მის საბანკო ანგარიშზე 27,906 ლარი დაეგროვებინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12-თვის განმავლობაში ლიკვიდობასთან დაკავშირებული პროგნოზების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიას ექნება სათანადო ლიკვიდობა ამ პერიოდში ვადადამდგარი სესხის, ასევე მიმდინარე ბიზნესის საოპერაციო დანახარჯების დასაფარად, გამომუშავებაში ჰიდროლოგიური პირობების ცვლილებით პოტენციური ნეგატიური ცვლილებების, ასევე ბაზრის საპროცენტო განაკვეთების და კომპანიის მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე შესაბამისი ფინანსური დანახარჯების ზრდის გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. განსჯის და შეფასების გამოყენება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გააკეთა განსჯა და შეფასებები, რომლებიც აისახება სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ფინანსური ანგარიშგების ფას-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ინფორმაცია დაშვებებისა და შეფასების განუსაზღვრელობების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი რისკი აქვთ იმისა, რომ ისინი გამოიწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებით კორექტირებას მომდევნო ფინანსურ წელს, ასახულია შემდეგ შენიშვნაში:

- ▶ მე-2 შენიშვნა - ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.
- ▶ მე-9 შენიშვნა - კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი.

4. ამონაგები ოპერაციებიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ელექტროენერგიის წარმოება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ორი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სს „ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორთან“ („ესკო“) ელექტროენერგიის გაყიდვის თაობაზე – ერთი „შუახვევის ჰიდროელექტრო სადგურის“ და მეორე „სხალთას ჰიდროელექტრო სადგურისთვის“.

2022 წლის მაისიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და მისი ადგილობრივად გაყიდვა პირდაპირი გაყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება „ესკოს“ მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით და საექსპორტო გაყიდვების ყოველკვირეული ინვოისებით.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ამონაგები ოპერაციებიდან (გაგრძელება)

ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის პირველი ხუთი წლის განმავლობაში წარმოებული ელექტროენერგია მთლიანად მიჰყიდოს „ესკოს“ წლის ყველა თვეს, მაისის, ივნისისა და ივლისის გარდა. რაც შეეხება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის მომდევნო 10 წელს, „ესკოს“ შეუძლია აირჩიოს სამი თვე მოცემული წლიდან, რომელთა განმავლობაშიც კომპანია ვალდებული იქნება წარმოებული ელექტროენერგია მთლიანად „ესკოს“ მიჰყიდოს. კომპანიას უფლება აქვს თავისი გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად მიჰყიდოს „ესკოს“ მომდევნო 15 წლის განმავლობაში (2035 წლის აპრილამდე) შეთანხმებული ტარიფით.

2022 წლის განმავლობაში ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ამონაგები 94,621 ლარს გაუტოლდა (2021 წ.: 48,673 ლარი).

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების შესახებ.

	2022	2021
სავალდებულო გაყიდვები „ესკო“-ზე	44,417	42,496
საექსპორტო გაყიდვები	43,352	–
პირდაპირი ადგილობრივი გაყიდვები	3,609	–
ნებაყოფლობითი გაყიდვები „ესკო“-ზე	3,243	6,177
	94,621	48,673

(ა) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების დეზაგრეგირება

ათასი ლარი	2022	2021
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	51,269	48,673
თურქეთი	43,352	–
	94,621	48,673

(ბ) სახელშეკრულებო ნაშთი

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს, ვინაიდან ვალდებულების შესრულება და ანაზღაურების მიღების უფლება წარმოიშობა ხანმოკლე ვადით და ყველა უფლება ანაზღაურების მიღებაზე უპირობოა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ამონაგები ოპერაციებიდან (გაგრძელება)

(ბ) სახელშეკრულებო ნაშთი (გაგრძელება)

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათასი ლარი	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,742	3,428
	3,742	3,428

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული, მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო. სავაჭრო მოთხოვნები ლარშია გამოხატული. ყველა სავაჭრო მოთხოვნა მოკლევადიანია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითია 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(გ) შესასრულებელი ვალდებულებები და ამონაგების აღიარების პოლიტიკა

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათისა და დროულობის, გადახდის მნიშვნელოვანი თარიღების და შესაბამისი ამონაგების აღიარების პოლიტიკის შესახებ:

მომსახურების ტიპი	შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათი და ვადები, მათ შორის, გადახდის მნიშვნელოვანი პირობები	ამონაგების აღიარების პოლიტიკა
შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან	შესასრულებელი ვალდებულები სრულდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია გადაეცემა ბითუმად მოვაჭრეს და მიიღება ამ უკანასკნელის მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. გადაცემული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 28 რიცხვში. 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი განისაზღვრება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით, ან, საექსპორტო და პირდაპირ ადგილობრივ გაყიდვებთან მიმართებით, მომხმარებლებთან გაფორმებული მოკლევადიანი ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.	ამონაგების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში, ვინაიდან მომსახურება გაიწევა ყოველთვიურად ბითუმად მოვაჭრეებზე გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობიდან გამომდინარე. გადაცემული ელექტროენერგია იზომება მრიცხველებით, რომლებიც დამონტაჟებულია კომპანიის ჰიდროელექტრო სადგურების საქართველოს ელექტროსისტემასთან დამაკავშირებელ წერტილებში.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით. საზღაურის გადახდა ხდება ელექტროენერგიის გადაცემაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. სხვა შემოსავალი

2021 წელს სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს ერთ-ერთი კონტრაქტორისგან მიღებულ ერთჯერად ანგარიშსწორებას, საიდანაც 16,810 ლარი წარმოადგენდა შემოსულობას კონტრაქტორის მიმართ სადავო დაუფარავ ვალდებულებაზე უარის თქმის შედეგად.

6. საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
ცვეთა	11,851	14,015
სადაზღვევო დანახარჯები	7,614	9,051
გადაცემის საფასური	6,705	302
ქონების გადასახადი	5,805	6,846
ტექნოლოგიური ხარჯების დანახარჯები	2,645	2,142
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	1,948	1,925
სხვა	781	669
	37,349	34,950

კომპანია შეცვალა საოპერაციო დანახარჯების შემადგენლობის წარდგენა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მიმდინარე პერიოდის წარდგენის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
პროფესიული მომსახურება	1,873	3,110
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	1,769	736
იურიდიული დანახარჯები	1,071	638
სოციალური დანახარჯები	707	894
ცვეთა და ამორტიზაცია	349	509
სხვა	2,432	2,559
	8,201	8,446

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები

მოგება-ზარალი ადგიარებული თანხა	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	608	135
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	–	254
ფინანსური შემოსავალი	608	389
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(29,162)	(31,626)
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	(106)	–
ფინანსური დანახარჯები	(29,268)	(31,626)
მოგება-ზარალი ადგიარებული წმინდა ფინანსური დანახარჯები	(28,660)	(31,237)

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითად საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი აგანსი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული თორმეტი თვის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი მოძრაობები დაფიქსირდა:

ათასი ლარი	გრძელვადიან აქტივებში	შენიშნა-	მიწა	სამშენებლო	ელექტრო-	საკომუნიკაციო	გადამცემი	სხვა	სულ
დაუმთავრებელი აქტივები	გადახდილი აგანსები	ნაგებობები		კონსტრუქციები	მექანიკური აღჭურვილობა	და სხვა აღჭურვილობა	ხაზი		
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	41,657	83	85,507	18,899	1,165,238	219,068	5,318	-	1,540,626
შესყიდვები	914	81	-	62	-	7	-	161	1,225
გასვლები	-	(10)	-	-	-	-	-	(166)	(176)
სხვა ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	(2,314)	(5)	(4,671)	(1,032)	(63,657)	(11,967)	-	(316)	(84,253)
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი აგანსებიდან დაუმთავრებელ მშენებლობაზე გადატანები	73	(73)	-	-	-	-	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობიდან კომპონენტებზე გადატანები	(40,330)	-	9,249	-	-	15,259	-	15,822	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	76	90,085	17,929	1,101,581	222,367	5,027	15,822	1,457,422
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	76	90,085	17,929	1,101,581	222,367	5,027	15,822	1,457,422
შესყიდვები	164	-	65	9	-	63	-	40	385
გასვლები	-	-	-	-	(593)	-	-	(98)	(691)
ჩამოწერა	-	-	-	-	(512)	-	-	-	(512)
სხვა ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	-	(10)	(11,505)	(2,290)	(140,685)	(28,399)	(642)	(2,021)	(186,131)
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი აგანსებიდან არამატერიალურ აქტივებზე გადატანები	-	(45)	-	-	-	-	-	-	(45)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	164	21	78,645	15,648	959,791	194,031	4,385	13,841	1,270,428
ცვთა და გაუფასურება									
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(24,100)	-	(43,431)	(12,213)	(593,119)	(113,341)	(3,117)	(2,272)	(791,593)
ცვთა წლის განმავლობაში	-	-	(938)	-	(7,584)	(4,603)	(519)	(185)	(14,351)
დაუმთავრებელი მშენებლობიდან კომპონენტებზე გადატანები	22,800	-	(5,229)	-	-	(8,615)	-	(8,956)	-
ცვთა გასვლებზე	-	-	-	-	-	-	-	74	74
გაუფასურების ზარალი	-	-	(3,415)	(521)	(43,750)	(8,377)	(130)	(548)	(56,801)
სხვა ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	1,300	-	2,408	635	32,694	6,360	190	6	43,737
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(50,605)	(12,099)	(611,759)	(128,576)	(3,576)	(9,683)	(818,934)
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(50,605)	(12,099)	(611,759)	(128,576)	(3,576)	(9,683)	(818,934)
ცვთა წლის განმავლობაში	-	-	(842)	-	(6,284)	(4,092)	(428)	(186)	(12,035)
ცვთა და გაუფასურება გასვლისას	-	-	-	-	616	-	-	98	714
გაუფასურების გაუქმება	-	-	121	19	1,561	290	3	19	2,018
სხვა ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	-	-	6,520	1,545	78,578	16,715	487	1,248	105,444
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(44,806)	(10,535)	(537,288)	(115,663)	(3,514)	(8,602)	(722,793)
საბალანსო დირებულება									
2021 წლის 31 დეკემბრის	-	76	39,480	5,830	489,822	93,791	1,451	6,139	638,488
2022 წლის 31 დეკემბრის	164	21	33,839	5,113	422,503	78,368	871	5,239	547,635

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითად საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსი (გაგრძელება)

(ა) უზრუნველყოფა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 547,635 ლარის ძირითადი საშუალებები მთლიანად არის დაგირავებული პირველი რიგის კრედიტორებთან – ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად (2021 წლის 31 დეკემბერი: 638,488 ლარი).

(ბ) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ გახდა კომპანიის არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები ან მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ხომ არ ექვემდებარება გაუქმებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ გადახედა თავის შეფასებებს და დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების 545,617 ლარის საბალანსო ღირებულება განსაზღვრული იყო უფრო მეტი ოდენობით, ვიდრე მისი 547,635 ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც გამოთვლილია გაუფასურების ტესტის შედეგზე დაყრდნობით და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ამ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარა შესაბამისი გაუფასურების ზარალი 2,018 ლარის ოდენობით.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობოდა გამოყენების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა ძირითადი საშუალებების განგრძობითი ექსპლუატაციიდან წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

გამოყენების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 9.72%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (2021 წ. 7.86%), დროთა განმავლობაში ცვლილებით, რაც დიდწილად უკავშირდება განაკვეთის ურისკო ზრდას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობამ ელექტროენერგიის სამომავლო წარმოების მოცულობა იმ დონეებზე განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება ნალექების ანალიზით მიღებულ გრძელვადიან საშუალო დონეს. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების მთელი ვადისთვის პროგნოზირებული ამონაგების ოდენობის გამოსათვლელად ხელმძღვანელობამ გამოიყენა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფები. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის შემდგომი პერიოდებისთვის ხელმძღვანელობამ დაუშვა ტარიფი, რომელიც უდრის ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფს, რომელსაც ყოველწლიურად ერიცხება 2%-იანი რთული პროცენტი, რაც შესაბამისობაშია აშშ დოლარის ინფლაციის გრძელვადიან პროგნოზებთან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითად საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსი (გაგრძელება)

(ბ) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი (გაგრძელება)

2022 წელს, თურქეთის ელექტროენერგიის ბაზარზე საექსპორტო გაყიდვების დაწყების შემდეგ, ხელმძღვანელობამ მომავალი საექსპორტო გაყიდვების პროგნოზები გამოიყენა ანაზღაურებადი ღირებულების შესაფასებლად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ნავარაუდევია, რომ საექსპორტო გაყიდვების მოცულობა „ესკოს“ გარდა სხვა პირებზე მიმდინარე პერიოდის გაყიდვების შესაბამისია, ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საექსპორტო პერიოდებით დადგენილი შეზღუდვების გამოყენებით, რომლებიც მოდელშია ასახული. საპროგნოზო გასაყიდი ფასები და გადაცემის დანახარჯები მომდევნო 5 წლის განმავლობაში თურქეთის ელექტრონული ბაზრის კვლევას ეფუძნება, რომელიც დამოუკიდებელმა ექსპერტმა მოამზადა და მოგვიანებით 2%-ით გაზარდა აშშ-ის ინფლაციის პროგნოზების შესაბამისად. საპროგნოზო გასაყიდი ფასები ეფუძნებოდა Announced Pledges სცენარს (სცენარის „წმინდა ნული“ საწინააღმდეგოდ, რომელიც განისაზღვრა, როგორც გონივრულად სავარაუდო ალტერნატიული სცენარი), რაც მხოლოდ იმ მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებს მოიცავდა, რომლებიც გამოცხადდა და ამოქმედდა სამიზნე საექსპორტო გეოგრაფიულ ტერიტორიებზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა გააკონტროლებს ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს და მიიჩნევს, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს სცენარს „წმინდა ნული“, თუ სამიზნე გეოგრაფიული ტერიტორიის ბაზარზე გატარდება შესაბამისი მარეგულირებელი და პოლიტიკური ღონისძიებები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებაში სცენარის „წმინდა ნული“ გამოყენების შემთხვევაში, გამოყენების ღირებულება უფრო ნაკლები იქნებოდა, ხოლო მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში აღიარებული გაუფასურების ზარალი შეადგენდა 440 ლარს ელექტროენერგიის სავარაუდოდ უფრო მაღალი მიწოდების და შესაბამისად საპროგნოზო პერიოდში უფრო დაბალი ფასების გამო.

ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ დისკონტირების განაკვეთი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს გამოყენების ღირებულების შეფასებაზე. 1%-იანი ზრდა გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში ანაზღაურებადი ღირებულებას დაახლოებით 41,882 ლარით შეამცირებდა (2021 წ.: 143,147 ლარი) და, შესაბამისად, იგივე ოდენობით გაზრდიდა გაუფასურებას.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი		
საბანკო ნაშთები	27,906	9,381
სულ:	<u>27,906</u>	<u>9,381</u>

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ქართულ და უცხოურ კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებით. ამ ანგარიშებს ერიცხება წლიური 1%-6.5%. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი ანაზღაურებზე გაუტოლდა 608 ლარს (2021 წ.: 135 ლარი). კომპანიის საბანკო ნაშთებთან მიმართებით მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა, როგორც არაარსებითი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 20,002 ლარი განთავსებული იყო უცხოურ ბანკში, რომელსაც სარეიტინგო კომპანია Fitch-ისგან მინიჭებული აქვთ BBB+ რეიტინგი, რომელიც განისაზღვრება ნასესხები სახსრების პირობებით კომპანიის ნასესხებ სახსრებზე მომავალი გადახდების განხორციელების მიზნით. ნასესხები სახსრების მექანიზმების პირობებით კომპანია ვალდებულია შეავსოს სესხის მომსახურების ნაშთის ანგარიში ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

11. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის წესდებაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2022 წლისა და 2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

(ბ) დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის საკუთარ კაპიტალში „ABV“-ისგან ფულად შენატანს დანახარჯების გადაჭარბების მხარდასაჭერად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები იზღუდება კომპანიის მიერ გამომუშავებული მოგებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი 628,490 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 650,990 ლარი). 2022 და 2021 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია.

12. სესხები და ნასესხები სახსრები

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული პროცენტიანი სესხებისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	8,666	8,838
	8,666	8,838
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	682,775	791,147
	682,775	791,147
	691,441	799,985

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ა) ვადები და დავალიანების დაფარვის გრაფიკი

მიმდინარე სესხების პირობები:

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები:	ვალუტა	დაფარვის ვადა	საბალანსო ღირებულება	2021 წლის
			2022 წლის 31 დეკემბერი	31 დეკემბერი
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	182,091	210,397
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	65,874	76,424
აზიის განვითარების ბანკის „ა“ ტრანში – ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	175,244	202,511
აზიის განვითარების ბანკის „ა“ ტრანში – მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	31,727	36,871
აზიის განვითარების ბანკის „ბ“ ტრანში – ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	42,388	49,050
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	142,735	164,981
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	51,382	59,751
მთლიანი პროცენტიანი ვალდებულებები			691,441	799,985

(ბ) უზრუნველყოფა

კომპანიის ყველა აქტივი დაგირავებულია პირველი რიგის კრედიტორებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

(გ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან

სესხები და ნასესხები სახსრები	2022	2021
ნაშთი 1 იანვარს	799,985	862,025
ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან		
სესხების და ნასესხები სახსრების გადახდა	(6,584)	(6,476)
მთლიანი ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	(6,584)	(6,476)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	(104,234)	(48,318)
სხვა ცვლილებები		
ვალდებულებასთან დაკავშირებული		
საპროცენტო ხარჯი	28,975	31,597
გადახდილი პროცენტი	(26,701)	(38,843)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	2,274	(7,246)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	691,441	799,985

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 549,299 ლარის ოდენობით (2021 წ.: 792,855 ლარი), რაც მე-3 დონის შემოსავლის შეფასების მეთოდით განისაზღვრა, ნასესხები სახსრების პირობების და ვალუტის შესაბამისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

13. გადახდილი ავანსი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსი მოიცავს წინასწარ გადახდილ სადაზღვევო ხარჯს 1,532 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,950 ლარი). სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს სადაზღვევო ანაზღაურებას ქონების დაზიანებაზე, საქმიანობის შეფერხებაზე, სტიქიური უბედურებით, ტერორისტული აქტით ან საბოტაჟით და მესამე პირის ვალდებულებით გამოწვეულ ზარალზე.

14. მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ნაშთი მოიცავს სათადარიგო ნაწილებს 3,467 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 4,118 ლარი), რომლებიც საჭიროა ჰიდროელექტრო სადგურების რემონტის და ტექნომსახურების ხარჯების დასაფარად.

15. პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო დავები

კომპანიას სასამართლო დავა აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რომელმაც სარჩელი 2020 წელს აღძრა შუახევში (აჭარა, საქართველო) დაზიანებული გზების შესაკეთებლად კომპენსაციის მოთხოვნით. კომპანიისგან მოთხოვნილი თანხა 7 მილიონ ლარს შეადგენს. საქმეში ასევე მონაწილეობა მიიღო კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორმა „ეი ჯი ი ბათუმი“ („ეი ჯი ი“), როგორც მესამე მხარემ, ვინაიდან საქმეზე მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს „ეი ჯი ი“-ის ვალდებულებებზე, რომელიც გულისხმობს გზების ტექნიკურ მომსახურებას „ეი ჯი ი“-სა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიამ და „ეი ჯი ი“-მ შეასრულეს თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები და მიაჩნია, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია და რომ კომპანიას საკმარისი სამართლებრივი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი პოზიცია სასამართლო საქმის მოსმენებზე. ამასთან, კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მხოლოდ „ეი ჯი ი“, და არა კომპანია უნდა იყოს საქმეთწარმოების საგანი.

2021-2023 წლებში ბათუმის საქალაქო სასამართლოში რამდენჯერმე გაიმართა საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმის მოსამზადებელი მოსმენა.

კომპანია არ აღიარებს პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებულ რაიმე ანარიცხს, რადგან ის არ მიიჩნევს, რომ არსებობს საქმის წაგების რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს თუ ისინი შემდგომ თავიანთი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2022 წელს საგადასახადო უწყებებმა კომპანიას მოსთხოვეს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არასრულად გადახდილი ქონების გადასახადის ანაზღაურება 12,291 ლარის ოდენობით, ჯარიმების ჩათვლით. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მოთხოვნა უსაფუძვლოა და რომ კომპანია არ გასწევს მზარდ საგადასახადო ხარჯს ამ მოთხოვნასთან მიმართებით. შესაბამისად, ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანარიცხი არ აღიარებულა.

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე;
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

სესხებისა და ნასესხები სახსრების გამოკლებით (მე-12 შენიშვნა), ყველა სხვა აქტივების და ვალდებულებების კატეგორია, რომლისთვისაც ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულება არ აღიარებულა, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეორე კატეგორიაში შევიდა: პირდაპირ და ირიბ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებზე დაყრდნობით, გარდა აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასებისა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) რისკის მართვა

კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- ▶ საკრედიტო რისკი;
- ▶ ლიკვიდობის რისკი;
- ▶ საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაზე.

ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საბჭო ზედამხედველობს იმას, თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და, ძირითადად, წარმოიშობა კომპანიის საბანკო ნაშთებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. აღიარებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა საანგარიშგებო თარიღისთვის ასე გამოიყურებოდა:

	საბალანსო ღირებულება	
	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	27,906	9,381
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,742	3,428
აღიარებული ფინანსური აქტივები	31,648	12,809

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს (სარეიტინგო კომპანია Fitch-ის BB- რეიტინგით) და უცხო ქვეყნის (სარეიტინგო კომპანია Fitch-ის BBB+ რეიტინგით) წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ანაზღაურება.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) რისკის მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს „ესკოს“ მიმართ, რომელსაც საქართველოს მთავრობა აკონტროლებს. საქართველოს სუვერენული რეიტინგი Fitch-ის მიხედვით არის BB+. ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხს ინდივიდუალურად აკონტროლებს ვადაგადაცელებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია ვადაგადაცელებული მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები.

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანიამ ოპერაციებიდან ფულადი სახსრების გამომუშავება დაიწყო 2020 წელს. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მოთხოვნები გადაიხდება 28 კალენდარული დღის განმავლობაში. 2021 წელს კომპანიის ერთადერთი მომხმარებელია „ესკო“, რომლის მფლობელია საქართველოს მთავრობა. შესაბამისად მის გადახდისუნარიანობის და კომპანიის მიმართ ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობების კლების დაბალი შანსი არსებობს. 2022 წელს კომპანიამ ელექტროენერგია ექსპორტზე მიჰყიდა თურქეთს, გაყიდვის შემდეგ ანაზღაურების 10-დღიანი ვადის პირობებით. კომპანიის მნიშვნელოვანი ვალდებულებებია სესხები პირველი რიგის კრედიტორებისგან და ჰიდროლოგიური პირობების და კომპანიის მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების უნარის გათვალისწინებით არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ განახორციელოს პროცენტის გადახდა, რასაც ადგილი ჰქონდა წინამორბედ წლებში. ამ რისკის შემსუბუქების მიზნით, პირველი რიგის კრედიტორებთან გაფორმებული ნასესხები სახსრების ხელშეკრულებების პირობების თანახმად, კომპანია ვალდებულია შეავსოს სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიში უცხოურ ბანკთან 15 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ამ ანგარიშზე გამოჰყო 20,002 ლარი (მე-10 შენიშვნა).

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკის მოცულობა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების საანგარიშგებო თარიღისთვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია მთლიანად, არ არის დისკონტირებული და მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სახელშეკრუ- ლებო		12 თვეზე ნაკლები	1-2 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და ნასესხები						
სახსრები	691,441	1,071,279	38,995	39,418	77,111	915,755
სხვა ვალდებულებები	791	791	750	41	0	0
	692,232	1,072,070	39,745	39,459	77,111	915,755

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	სახელშეკრუ- ლებო		12 თვეზე ნაკლები	1-2 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი
	საბალანსო ღირებულება	ფულადი ნაკადები				
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და ნასესხები						
სახსრები	799,985	1,144,246	8,838	73,880	75,401	986,128
სხვა ვალდებულებები	2,676	2,675	2,007	669	–	–
	802,661	1,146,921	10,845	74,549	75,401	986,128

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების და აქციების კურსების, ცვალებადობა გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მოცულობის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს იღებს საბაზრო რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას მოგების ან ზარალის მერყეობის სამართავად.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს სავალუტო რისკი შესყიდვებზე და საბანკო ნაშთებზე, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. ვალუტა, რომელშიც ოპერაციებია ძირითადად გამოხატული, არის ლარი.

კომპანია არ აფორმებს ხელშეკრულებებს წარმოებულ ინსტრუმენტებზე, თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით.

სავალუტო რისკის მოცულობა

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთი იყო:

	ლარში გამოხატული 2022 წლის 31 დეკემბერი	ლარში გამოხატული 2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,305	2,698
სავაჭრო მოთხოვნები	3,742	3,428
სხვა ვალდებულებები	(149)	(273)
წმინდა რისკის ზომა	5,898	5,853

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი სავალუტო კურსები:

საშუალო		სპოტ-კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის	
2022 (12 თვე)	2021 (12 თვე)	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
2,9156	3.2209	2,7020	3.0976

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის მიმართ აშშ დოლარის გონივრულად მოსალოდნელი გაუფასურება, ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წ.: ლარის გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით) მოგებას ან ზარალს გაზრდიდა/(შემცირებდა) ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობით. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება. გაცვლითი კურსების საპირისპირო 10%-იანი მოძრაობა გამოიწვევდა ტოლფარდ საპირისპირო ეფექტს მოგებაზე ან ზარალზე.

ათასი ლარი	მოგება ან (ზარალი)
2022 წლის 31 დეკემბერი	
აშშ დოლარი (+10% მოძრაობა)	590
2021 წლის 31 დეკემბერი	
აშშ დოლარი (+10% მოძრაობა)	585

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხი) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის მქონე სესხი) შეცვლით.

კომპანიამ ჩაატარა მცოცავი საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდის/შემცირების ანალიზი:

წელი	ვალუტა	ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში	წმინდა საპროცენტო ხარჯის მგრძნობელობა
2022	აშშ დოლარი	100	265
2021	აშშ დოლარი	100	1,648

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია

(ა) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 31 დეკემბრით დასრულებული 12 თვის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო:

	31 დეკემბრით დასრულებული 12 თვისთვის	
	2022	2021
ხელფასები	1,738	2,380
სხვა მოკლევადიანი სარგებელი	185	181
	1,923	2,561

(ბ) დაკავშირებულ მხარეთა სხვა ოპერაციები

	31 დეკემბრით დასრულებული 12 თვისთვის	
	2022	2021
საქონლის და მომსახურების შესყიდვა:		
მშობელ საწარმოზე საერთო კონტროლის მქონე სამეურნეო სუბიექტები	1,708	2,422
უშუალო მშობელი საწარმო	374	80
სხვა დაკავშირებული მხარეები	126	723
საქონლის და მომსახურების გაყიდვა:		
სხვა შვილობილი საწარმო	–	63

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი, მაგრამ მათ არ აქვთ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის („იჯარა“) ცვლილება
- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“
- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“

(ა) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები მოიცავს:

- ▶ საპროცენტო შემოსავალს;
- ▶ საპროცენტო ხარჯს;
- ▶ სავალუტო შემოსულობა ან ზარალი ფინანსური აქტივებიდან და ფინანსური ვალდებულებებიდან;
- ▶ მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, თუ საპროცენტო ხარჯი არ ითვლება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებად, რომელთა კაპიტალიზაცია ხდება განსაკუთრებულ აქტივზე.

სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება წმინდა თანხით როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები, იმისდა მიხედვით, სავალუტო კურსის მოძრაობა წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციას განაპირობებს.

(ბ) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი. კომპანიის წარსადგენი ვალუტაა ლარი. კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების ლარში წარმოდგენა საქართველოში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება აშშ დოლარში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღით უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება აშშ დოლარში ხდება ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ფულად მუხლებზე საკურსო შემოსულობა ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც კორექტირებულია ეფექტური პროცენტით და შენატანებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელშიც კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

კონვერტაციისას წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, თუ არ მიიჩნევა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებად, რომელთა კაპიტალიზაცია ხდება პირობით აქტივზე.

(გ) მოგების გადასახადი

როგორც წესი, მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ საკუთარ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ მუხლებს.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს წლის დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე მოსალოდნელი გადასახადის გადასახდელ ან მისაღებ თანხას საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან ფაქტობრივად ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთებისა და წინა წლებთან მიმართებით საგადასახადო დავალიანების ნებისმიერი კორექტირების მიხედვით. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ასევე მოიცავს დივიდენდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებებს.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი გვიანი თარიღით ამოქმედდება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) მოგებიდან გადასახადები (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო დავალიანების გაქვითვა შესაძლებელია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მოგების გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილება 2017 და მომდევნო წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადით იბეგრება გარკვეული ოპერაციები, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, თუ ისინი აღემატება დასაშვებ ზღვარს. კომპანია ასეთ ოპერაციების დაბეგვრას განიხილავს, როგორც ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების ფარგლებს მიღმა და ასეთი მუხლების გადასახადს აღრიცხავს, როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

დანახარჯები მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

იმის განსაზღვრა, დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება თუ არა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობამდე მიყვანას, წარმოადგენს ხელმძღვანელობის განსჯის საგანს, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივებიდან მიღებულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, როგორიცაა დანახარჯების ხასიათი და დარგის სპეციფიკა.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულის მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად ნებისმიერი მოგების ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსავლის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის / სხვა ხარჯების ნაწილში.

კომპანიამ არჩევს კაპიტალიზებულ პროცენტთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების აღრიცხვას საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებად, თუ განსაკუთრებული აქტივის შესაძენად გადახდილი სხვა თანხები აისახება საინვესტიციო საქმიანობაში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ამ დანახარჯთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟების და ექსპლუატაციისთვის მზადყოფნის თარიღიდან ან, შიდა რესურსებით შექმნილი აქტივების შემთხვევაში, იმ თარიღიდან, როდესაც დასრულდა აქტივის შექმნა და იგი ექსპლუატაციისთვის მზად არის. ცვეთა ეყრდნობა აქტივის თვითღირებულებას, რომელიც შემცირებულია მოსალოდნელი ნარჩენი ღირებულებით.

ცვეთის აღიარება, ზოგადად, მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ერთეულების სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები მიმდინარე და შედარებადი პერიოდებისთვის ასეთია:

- ▶ სამშენებლო კონსტრუქციები, კაშხლები და გვირაბი - 75 წელი;
- ▶ შენობები - 50 წელი;
- ▶ ელექტრომექანიკური მოწყობილობები – 10-35 წელი;
- ▶ ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;
- ▶ საკომუნიკაციო და სხვა საოფისე აღჭურვილობა - 5-10 წელი;
- ▶ სხვა - 3-10 წელი.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და შესაბამისად კორექტირდება.

(ე) ამონაგები

ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

(ვ) ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ვ) ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებაში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება, ამ ფაქტის გამჟღავნებამდე
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.

კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას და აპირებს მათ მიღებას მათი ძალაში შესვლის შესაბამისი თარიღებისთვის.

19. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.